რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე, ძვ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილიზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. წვრილებით ასოზე ნახევარი კაპ., განცხადებების ასოები ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## ძმათა ქ. და ს. პოპოვებისა

მ ო ს კ ო ვ შ ი

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწონილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (6—1)

„დროების“ რედაქციის კანტორაში მიიღება ხელის-მოწერა მიცვალებულ ხელმწიფე-იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახსოვრად გასამართავ ბავშვების თავ-შესაფარ სახლის შეწირულობისათვის.

## ტელეგრამმები

პეტერბურღი, 4 მაისს. პრინც პეტრე გიორგის-ძეს ოლდენბურგსკის 8 მაისს დაასაფლავებენ; ამ დროისთვის აქ ჩამოვა მთავარი გერცოგი ოლდენბურგისა. დღეს მოვიდნენ: ჩერნოგორიის დეპუტაცია. გენ.-სკობელევი და მოსკოვის გენ.-გუბ. თ. დოლგორუკი.

რომი, 3 მაისს. იტალიის კოროლმა გუმბერტმა მიიღო სამინისტროს სამსახურიდამ დათხოვნის თხოვნა; ახალი სამინისტროს შედგენა სელლას მიენდო.

**პეტერბურღის ბირჟა, 4 მაისს.**

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოს“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 97 | 25 |
| მეორესი— — — — | 94 | 25 |
| მესამესი — — — — | 94 | 50½ |
| მეოთხესი — — — | 94½ | „ |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 92 | 87½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 93 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 93 | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 2½ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 223 | 75 |
| მეორე სესხის — — — | 216 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24—37 | პენსი |
| ბერლინი — — | 208— | „ პფენიგი |
| გამბურღი — — | 257— | „ ცენტი |
| პარიჟი — — — | 257—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

**ქუთაისის ბანკის კრება**

სხდომა მესამე, 2 მაისი.

მშვენიერი, მაისის მზიანი დღე. ბაღი გაჭედილი მკენჭოსნებით. უფრო ლანი სამხრეთით იხედებიან: ფოთისკენ, სადაც გუშინ 1 მაისობას დღესასწაულობდენ მეგრელები, მთელიან რამოდენიმე ვანოს მეგრელ კენჭოსნებს...

მეთორმეტეს ნახევარზე ზალა სავსეა თუ მეკენჭეთაგან, თუ მაყურებლებისაგან. მშვენიერ სქესის ადგილები გაჭედილია მანდილოსნებით: კენჭის ყრას მთელიან ხარჯთა-აღრიცხვის დასამტკიცებლად.

სხდომა გაიხსნა პირველ საათზე. 290 მეკენჭეა, უმრავლესობას ორ-ორი კენჭი აქვს.

თავს-მჯდომარემ იკითხა: დამტკიცდეს წარმოდგენილი ახალი-ხარჯთა აღრიცხვა თუ არაო?

კირილე ლორთქიფანიძე უფრო ვრცელად და ყოველ წვრილმანი მხარის განხილვით არკვევს იმ საგნებს, რომლებთაც გუშინ თვითონვე შეეხო.

თავს-მჯდომარე შეაჩერებს მოლაპარაკეს და თვითვე იმაზე არა-ნაკლებ უხვ-სიტყვაობით ამტკიცებს, რომ ლ-ძისაგან გამოცხადებული შიში, ვითომც ტფილისიდამ არავინ დაგვიგირავებს შემცდარიაო, მამულსო, დედგანაც ჩვენი ბანკისაგან გირაოს ფურცელთა მეპატრონენი უფრო უზრუნველნი არიან, ვიდრე ტფილისისაგან, რადგანაც...

აქ კირილე ლორთქიფანიძემ სიტყვა წაართვა თავს-მჯდომარეს და საყვედური გამოუცხადა, რომ ის იჩენს თავის პირ-და-პირ მოვალეობას და ისე იქცევა, თითქოს რომელიმე დასის ადვოკატი იყოსო.

თავს-მჯდომარეს უნდა პასუხი ეთქო მაგრამ მოთმინებიდამ გამოსული. საზოგადოება იძახის: „კენჭით გადავწყვიტოთ საქმეო!“ უმრავლესობა მრისხანებით თხოულობს ხმა წაერთვას ბ. კირილე ლორთქიფანიძეს. უმცირესობა თხოულობს წინააღმდეგს... არევ-დარევა, ხმების ყვირილი და მუქარა.. ერთი მეორისკენ მიიწევა, ისმის, სიტყვები: „ხმა გაკმინდე!“ „მიჰქარავ!..“ ხანჯლების ტარზე დაიდო რამდენიმე ხელი... სადაცაა მახვილიც ილევებს...

„დროების“ ფელტონი, 6 მაისი.

## LA CAUCASIE *)

*E. Reclus.*

(გამოკრება ელიზე რეკლიუს გეოგრაფიიდამ „კავკასია“)

სტატია მეოთხე.

### V

**ენგურის, რიონის და ჭოროხის ხობა. სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი და ლაზისტანი.**

სამეგრელო-იმერეთს დიდხანს ჰქონდა დამოკიდებულება ევროპასთან. ბერძნებმა 120 ხიდი გააკეთეს ფაზისზე (რიონზე) და გაიყვანეს გზა შორაპნიდამ მტკვრის ხეობამდის. რომაელებმა და ბიზანტიელებმა დააკეთეს აქ ქალაქები და იმდენათ მოიდგეს ფეხი ამ ქვეყანაში, რომ, როცა თათრებმა ზღვის-პირი დაიპყრეს, დაპატრონდნენ როგორც სტამბოლის მფლობელნი და ბიზანტიის კეისრის მემკვიდრენი. ევროპის ადრინდელი გავლენა ამ ქვეყნის სარწმუნოებასაც დაეტყო: აქ ქრისტიანობა პირველის საუკუნიდამვე დამყარდა.

დედა-მიწის ზურგზე ძვირათ მოიპოვება ისეთი მდიდარი ქვეყანა ბუნებითად, როგორიც არის ძველი ქვეყანა—კოლხიდა. აქაური მცენარეობას და მიწის-ნაყოფიერებას დედა-მიწაზედ სხვაგან ბადალი არ მოეძებნება. მაგრამ ამასთან ამ ქვეყანაში ძალიან თხელი მოსახლეობა არის. ერთსა და იმავე სივრცეზე სხვაგან, მაგ. საფრანგეთში, ორი იმდენი ხალხი ცხოვრებს, ვინემ ამ ქვეყანაში.

ამ ჩვენ გამოკრებაში თავიდამვე უპირატესი ადგილი მივეცით კავკასიის ეტნოგრაფის და სულ ცოტა, თითქმის არაფერი ვთქვით მის ტოპოგრაფიაზე. ეს ცოტა უადგილობის ბრალი იყო და ცოტა საგაზეთობისაც და ამავე მიზეზებით ჩვენდა უნებურათ რიონისა და ენგურის ხეობის მშვენიერ აწერასაც განზე ვტოვებთ. არ შეგვიძლია, მაინც, ორი-ოდ-სამი ნაწყვეტი ადგილი არ მოვიყვანოთ.

რიონი, როგორც იხსენიებს სტრაბონი ძველათ დიდი მდინარე იყო. ზღვიდამ გემები ამოდიოდნენ შვირილის შესართავამდის და იქიდამ შორაპანს (150 კილომეტრი). იმერეთის მეფის ალექსანდრესაგან შედგენილ ქარტაში (1738) სწერია ვითომ გემები ქუთაისამდის ამოდიოდნენო, მაგრამ ეს ძნელათ დასაჯერებელი არის...

რიონის შესართავს ახლო, ზღვის პირათ, არის ტბა, რომელსაც დღემდის შერჩა ძველი ბერძნული სახელი პალეოსტომი. ამ ტბაში, როგორც ფიქრობენ, ჩადიოდა ძველათ რიონი და—უმატებს ამას ვახუშტი—ვიწრო სრუტით შავ-ზღვას უერთდებოდა.

მცენარეთაგან: კაკლის-ხე, სვანეთში, 1650 მეტრის სიმაღლეზე ხარობს; ქოლა და ვაზი—1100 მეტრზე. ლიმონის-ხე თუმცა მოშენებული არ არის, მაგრამ მაინც სიმინდისა და ბამბის გვერდით იზრდება, რიონის პირზე. ლაზისტანში, ამბობენ, ჩაის ბუჩქიც მოდისო; ბროწეულით ეს მხარე მთლად გადაჭრელებულია; ზეთის-ხილი აქა-იქ მოდის.

შუა ამ საუკუნეს, ფოთს ახლო, ლიმონი ხარობდა და ახლა კი აღარ. ეს იმას მოასწავებს, რომ ამ ქვეყნის ჰავა ბევრათ შეიცვალა. ნამეტანი ნოტიო აქაურობის დიდი მავნებელია, მაგრამ ზოგან ეს ნოტიო სრულიად იკარგება. ქუთაისში, სადაც ზენა—ქარი ჰქრის ხშირათ ჰავა იმოდენათ შრება, რომ იქაურები ხურავენ ფანჯრებს და შიგ სალხში წყლით გავსებულ თიხის ჭურჭლებსა სდგმენ.

სამეგრელო სხვაზე უფრო მდიდარია მცენარებით, მაგრამ მეგრელები ბარბაროსულათ ექცევიან ხეებს. ბარეშე ქვეყნის ვაჭრებმა, ნამეტურ ფრანცუზებმა ამ მხარეში კაკლის-ხე სულ გააწყვეს. ვაზს სრულებით არ უვლიან ამ ვაზის სამშობლო ქვეყანაში.

პირუტყვთაგან: უკეთესი საქონელი არის სვანეთში. სვანური ჯორი და სახედარი ერთი-სამად უფრო ძვირათ იყიდება ვინემ სხვა დანარჩენი კავკასიის ქვეყნებისა. თხები და სხვა წვრილ-ფეხობა ეგრეთვე განსხვავებულნი არიან.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ზემოთქმული მხარეებისა არ არის წარმომდგარი ერთის რასსისაგან. ის ბევრი სხვა-და-სხვა ტიპებისაგან არის შეზავებული. უველაზე უფრო საკვირველია აქ მავგრემანის და ქერა კაცების ერთმანერთისაგან განსხვავება. ქერას აქ მაღალი შუბლი აქვს და წოწოლა პირის სახე; შავგრემანს კი უფრო დაბალი შუბლი და უფრო ფართე პირის-სახე. უხსოვრის დროიდამ შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზე სხვა-და-სხვა ხალხი და მოგზაურები მოდიოდენ და სხვა-და-სხვა ელემენტებს სტოვებდენ ქვეყანაში. ასე გასინჯეთ

*) იხ. „დროება“ 81 84 ᲓᲐ 88 №.

ზედამხედველ კომიტეტმა რომ შეხედა ამისთანა უწესოებას ფიცხლავ მიატოვა თავის ადგილი და უკუ-ძვრა კულისებში. ბაქრაძისტების ორატორებმა გაჰკუცხლეს ბულვარისკენ... ნახევარი საათის განმავლობაში ყურთწარმტაცი ყვირილისა და სრული უწესოების მეტი არაფერი ყოფილა დარბაზში. ღვთის მადლით, არც სისხლი დაქცეულა, არც სილა გარტყმულა...

ბოლოს კირილე ლორთქიფანიძემ შემოიკრიბა თავის ხმის ყოველივე ძალი და აღელვებულ საზოგადოებას შესჩივლა, რომ თუ საგანს ვცდები, თავსმჯდომარის ვალია გზაზედ დამაყენოსო, მომეცით ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის უფლება, თვალ-დახუჭულად დამტკიცება შეუძლებელიაო.

საზოგადოება არ იწყნარებს მისს თხოვნას... ცოტ-ცოტათი ღელვა წყნარდება...

პავლე თუმანიშვილმა ითხოვა სიტყვის ნება და წაიკითხა დაახლოვებით შემდეგი:

„ორ-ნაირი იმედი გვითბობდა გულს, როცა ველირსეთ ამ ბანკის დაარსებას: პირველი იმედი ის გახლდათ, რომ მემამულეთ მისცემოდათ, ბანკისაგან ნასესხი ფულით, საშუალება თავიანთის მიწა-წყლის გაუმჯობესობისა და მეორე—ბანკისაგან მოგებული ფულით აღგვეზარდა ჩვენი შვილები. პირველი იმედი, რამდენადაც მე დაკვირვებული ვარ, გაგვიცუდდა... დაგვრჩა ერთად-ერთი ნუგეში-და: ბანკის წმინდა მოგების ნახევრის მოხმარება საზოგადო საჭიროებათათვის.

„რაც უფრო ნაკლები გვექნება ბანკის ხარჯი, მით უფრო მეტი დაგვრჩება ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლადა,—და საჭიროება ისეთი დიდია და მის შედარებით ჩვენი ბანკის შემოსავალი ისეთი მცირე რამ არის,—რომ დიდი შეცდომილება და სირცხვილი იქნება ჩვენი, თუ ძალიან მჭიდროდ არ მოვექეცით ამ ჩვენი ბანკის ხარჯებსა. აი ამ აზრით უნდა შევუდგეთ ჩვენ ამ ხარჯების განხილვასა.

„როდესაც ვამბობთ, ბატონებო, რომ ამ ხარჯს ეს ხარჯი უწდა მოუმატოთო, მაშინ ის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი საკუთარის ჯიბიდგან არას ვუმატებთ რა, არამედ ვაძლევთ საზოგადოების ჯიბიდგან, რომელშიაც მონაწილეობა აქვს, სხვათა შორის, 30,000 თავადსა და აზნაურს, იმ ფულებიდგან, რომელიც დანიშნულია საზოგადო საჭიროებათათვის,—და ამის გამო ამ ხარჯების მომატებაში, და ჯამაგირების დანიშვნაში გვეჭირება დიდი სიფრთხილე, დამზოგველობა, საზოგადო საჭიროებაზედ მზრუნველობა, და არა სიუხვე! აქ სიუხვე, ჩემის აზრით, საძრახისი და სასირცხოა. კაცი უნდა იყოს უხვი მხოლოდ თავის საკუთარი ჯიბიდამ ამოღებულის ფულითა.

„როდესაც ვამბობთ, რომ ამ-და-ამ ხარჯს ამდენი უნდა მოაკლდესო, აქაც იმას ნუ დაივიწყებთ, რომ რასაც უკლებთ ხარჯსა, ის ჩვენ ჯიბეში არ ჩადის: ის ფული ემატება ბანკის კასსა, საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. და ამის გამო ამ შემთხვევაში გვეჭირება ჩვენ პირ-და-პირობა მოურიდებლობა და არა თავაზიანობა. საზოგადო საქმეში და მეტადრე ამ შემთვევაში და ამისთანა თავაზიანობა ჩემის აზრით, მეტად საძრახისი და სასირცხოა.

„აქ წარმოითქვა თითქმის იმისთანა აზრი, რომ რაც უფრო მეტს ფულს მივსცემთო, უფრო კარგი და პატიოსანი კაცი იშოვება საზოგადო საქმის საწარმოებლათაო... მე ძალიან ვეჭვობ, რომ ეს მართალი იყოს... საჭიროდ ხედავენ, პატიოსანი კაცის საშოვნელად წელიწადში ოთხას თუმანსა, მაგრამ რა ნაირი პატიოსნისა? იმ ნაირი პატიოსანი კაცისა, რომ მის წასაქეზებლად, და წასახალისებლად, კიდევ საჭიროდ ხდება რაღაც პროცენტები!

„ორას და სამას თუმნად რიგიანი კაცი არ იშოვებაო... ეს სრულიად უსაფუძვლო გამოხატულობაა.—არც ისე სიმდიდრეა ჩვენში და არც ისე ამოწყვეტილან ჩვენში კეთილშობილნი და მამულის მოყვარულნი ყმაწვილი კაცები, რომ წელიწადში ორასი და სამასი თუმნის მოგებას არაფრად არ სთვლიდნენ და ამისთანა ჯამაგირებით საზოგადო საქმეში სამსახურს არ სურვილობდნენ.—დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ ამ ბანკის რიგიანად საწარმოებლათა არ არის საჭირო არც დიდი მეცნიერება და არც ვარსკვლავთ-მრიცხველობა.

„მე არ ვეჭვობ მასშიდ, ბატონებო, რომ ყველას გსურთ საზოგადო სიკეთე და საზოგადო ბედნიერება,—მაგრამ ამ ხარჯების განხილვაში კი გულ-უხვობას, თავაზიანობას და პირადობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ უნდა გვედგას თვალ-წინ მხოლოდ ჩვენი საზოგადო საჭიროება, ჩვენი გაჭირებული მამული და ამა უნდა ვუმსხვერპლოთ ჩვენი პირადი ვისმესი სიყვარულიც და მეგობრობაცა!

თ. მერაბ ლორთქიფანიძე. კარგი სიტყვა კარგი არის და კაი საქმე კიდევ უკეთესი... პირველს ჩვენ მეორე გვირჩევნია. მადლობას უძღვნით ბატონ ორატორებს მათის ქადაგებისათვის, მაგრამ ამ მადლობასთან ისიც უნდა განვუცხადოთ, რომ მივხვდით და ყველამ ვიცით-თუ საითკენ არის მომართული მათი ქადაგებანი: „ბანკში მოსამსახურეთა შევიწროება“ აი მათი საგანი! (საზოგადოებაში სამიოდე წამის ყვირილის შემდეგ განაგრძობს): მუშაობა შრომის-და-გვარად უნდა დაფასდეს. საზოგადო საქმის სამსახური შეუძლებელია, თუ იმ მოსამსახურეს საკმაო შეძლება, ჯამაგირი არ ექნება... (რამდენიმე მაყვირალი კაცი რაც ძალი და ღონე აქვთ, ჰყვირიან: „აღარ გვინდა გავიგონოთ!“ „უნდა შემცირდეს ხარჯი“. სხვები იძახიან: „ბანაგრძოსო“. რამდენიმე წამს ხმაურობაა).

თ. ვარლამ ერისთავი. თავსმჯდომარემ დაადგინოს კითხვა და ჩვენ გადავწყვეტთ.

თ. აკაკი წერეთელი საზოგადოების წინაშე თხოულობს სიტყვის ნებას, იღებს და ყველას სურვილით ადის სცენაზე და იქიდამ ლაპარაკობს:

ზოგიერთი დარბაისლები გვწამებენო, სთქვა მან, ვითომც ჯამაგირების შემცირება იმიტომ გვინდოდეს რომ, შევავიწროვოთ ამორჩეულნი პირნი. ძალიან შემცდარი აზრია ეგ. ჩვენ ხომ მაგას არ მოგახსენებთ, რომ ჯამაგირს ნუ მივცემთ, უჯამა-

---

არაბები და ნეგრებიც ურევიან აქაურებს. მაგრამ რაც უნდა ბევრი და სხვა-და-სხვა გვარი იყოს ეს ელემენტები საზოგადო ტიპის სილამაზეს თუ არ აკეთებენ, არას უშავებენ ისინი.

სამეგრელოში ლამაზი ხალხი ვაკეებზე სცხოვრებს, 1200 მეტრის სიმაღლემდის. საკმაოა, ქალაქობის დროს, გაიარ-გამოიარო ზუგდიდში, ან სხვა რომელსამე დაბას რიონისა და ენგურის ხეობაში იმის დასარწმუნებლათ, რომ კაცთა ნათესავს აქაურებზე უფრო ლამაზი წარმომადგენელი არა ჰყავს. მაგრამ მთებზე ეს ტიპი სხვაფერდება. იქ, მაგ. სვანებში პირის-სახე ულამაზოა და ხშირათ იბადება მათ შორის ყიყვიანი, ბიბო (კრეტინი) და სხ.

ს ვ ა ნ ე ბ ი სხვა-და-სხვა ტომისგან ჩამოსული ხალხია, თუმცა მათი ეტნოგრაფიული ფესვი ქართულია. მეთუთხმეტე საუკუნეში იმათ ეჭირათ ზემო-რიონის ხეობა; სტრაბონის დროს ისენი ძლიერ ხალხს შეადგენდნენ. ეხლანდელი სვანები, უეჭველია, მათი ჩამომავლობაა, რომელნიც სამეგრელოს ბატონების რისხვას გამოექცნენ. სვანეთში იმათ ფიქრი არ ქონდათ: სხვა არა იყოს რა, რვა თვე, მარტო, თოვლი არ ამოუშვებდა იმათთან მტერს.

სვანეთი სამათ არის დაყოფილი: დადიანის სვანეთად, დადეშქელიანის სვანეთად და თავისუფალ—სვანეთად.

დადიანის სვანეთი სამეგრელოს სამზღვარზე ახლო არის და ამიტომ იქაური სვანები დადიანების გავლენას ვერ წაუვიდნენ. დადეშქელიანები ყუმიქელის თათრების ჩამომავალია. იმათი გლეხები იმათი მონები იყვნენ და რუსის მართებლობამ გამოისყიდა იმათგან, როგორც საკუთრება. თავისუფალმა სვანებმა ბევრ ხანს შეინახეს თავისი დამოუკიდებულება და თუმცა 1853 წელში იმათ შეჰფიცეს ერთგულება რუსის მმართებლობას, მაგრამ ისინი დღესაც თავისუფალ სვანებად იწოდებიან.

თავის-უფალი სვანები არ ემორჩილებიან არც ბატონს, არც მღვდელს, არც მთავარს. საერთო სოფლის ყრილობაში ერთხმათ სწყდება საზოგადო საქმეები. თუ ხმა ერთი არ იქნებაა ისე არაფერი გაკეთდება.

კაცის-მკვლელობა სვანებს არაფრად მიაჩნიათ. ძლიერ იშვიათია იმათში ისეთი კაცი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთი კაცი მაინც არ მოეკლას. მამა შვილს აკვნიდამვე ასწავლის თოფ-იარაღის ხმარებას.

ძველათ სვანები ჩამოდიოდნენ მთიდამ და მტაცებლობდნენ. მეთოთხმეტე საუკუნეში ამათ გადარუჯეს ქალაქი ქუთაისი... ვაჭრობა სვანებმა ლახამულეხის ურიებს დაულოცეს; თითონ კი გაჭირვებისა და შიმშილის დროს შვილებსა ჰყიდდენ.

თუმცა სვანები ბევრი ხანი არ არის, რაც შვილებს ხოცდენ (ნამეტურ ქალებს) იმ მიზეზით, რომ არ გამრავლებულიყვნენ, მაგრამ მარტო თავისუფალ სვანეთში 12 ათასი კაცია. ისინი ქრისტიანენი არიან და ფიქრობენ, რომ პირ-და-პირ იესო ქრისტესგან არიან მონათლულნი. მღვდლები „პაპები“ იმათში საკუთარ კასტას შეადგენენ. მღვდლობა მამა-შვილობით მიმდინარეობს. მაგათი ნამდვილი სარწმუნოება ჩვეულება არის.

სვანის ქალი პირ-ნიკაპს არ იხვევს რიონის ზემოხეობის ქალსავით, მაგრამ სიმღერის და გალობის დროს პირზე ხელს იფარებენ აქაო და ეშმაკი არ ჩაგვიძვრესო. როცა დიდის საქმისთვის მიდიან, სადმე, სვანები, გზაზე, ხმა-გაკმედილნი არიან, როგორც ნორვეგიის მეთევზეები და ამერიკის მონადირეები რომ ხმის ამოღებით ღმერთი არ გაარისხონ.

რაჭა უფრო მჭიდროთ არის დასახლებული, ვინემ ცხენისწყლისა და ენგურის ხეობა. რაჭველები სვანებზე უფრო განათლებულნი არიან და მისვლა-მოსვლა უფრო ბევრი აქვთ სხვა ხალხებთან. ერთობ მჭიდროთ მოსახლობისა და ზემო-რაჭის უნაყოფობისაგამო ზემო-რაჭველები ეტანებიან ქვემო-რაჭას. რაჭველი შრომის მოყვარეა და თავდარიგიანი. ისინი რო შინ დაბრუნდებიან იმერეთიდამ ან სამეგრელოდამ ქისაში ყოველთვის ბლომათ აქვთ ფული. მთელ სამეგრელოში და იმერეთში ხუროები და მხერხავები რაჭველები არიან.

შემდეგ რაჭველებისა რეკლიუ ასწერს იმერლებს და მეგრელებს. მოგვყავს სიტყვა სიტყვით ეს აღწერა:

„იმერლებს, ე. ი. იქითა-მხრელებს რიონის ხეობის ქართველებს ეძახიან... იმერეთი, ან იმერი, პოლიტიკური საზღვრების გადაწევ-გადმოწევისა-გამო ხან მთელ დასავლეთ საქართველოს ერქვა, ხან მარტო ზემო ნახევარს. სამეგრელოთ უწოდებენ დაბლობ ალლუვიონიურ მიწებს ზღვის პირათ. ჰავის გავლენა, რომელიც არის ნოტიოთი და ხაშმით სავსე, არ შეიძლებოდა მცხოვრებლებზე არ დასჩენიყო. შეგნებულია, რომ უიმისოთაც ზარმაცი მეგრელები კიდევ უფრო ზარმაცები არიან ჭაობიან ადგილებზე, მაგრამ იმავე ადგილების ემიგრანტები, რომელიც გადმოდიან თბილისს, მშრალ ჰავაში, შესანიშნავნი არიან მათი მოსაქმეობით. ხშირი ომი, რო-

გიროდ გვემსახურონ-თქო! ჩვენ მოგახსენებთ მხოლოდ შემცირებაზე და შემცირებაც და მოსპობას შუა დიდი ზღვარი დევს... მივცეთ იმდენი, რამდენიც ჩვენს შეძლებას შეჰფერის და რამდენიც საკმაო არჩეულთ პირთა ცხოვრებისათვის.

თუ ჩვენ მეტად ვერ მოვიხმარით იმ ცოტა უფლებებსაც, რომელიც დღეს გვაქვს, სთქვა თ. აკაკიმ, რა შეატყოს საზოგადოებას, რომ მოთმინებიდამ გამოდის „კენჭის“ ვადადებით და უპირობს სიტყვის წართმევას,—და საზოგადოს საქმის გასაუმჯობესებლად სჯასაც კი დავუშლით ადამიანს, მაშინ არა თუ უკეთესი მომავალი, არამედ კრული აწმყოც უფრო გაგვიმწარდება. ვიქონიოთ სულგრძელება, მიუდგომლად ვსაჯოთ და ასჯერ გავზომოთ და ერთჯერ გავჭრათ, როცა საზოგადო საქმეზედ რაიმე გარდაწყვეტილების დადგენა მოგვიხდება. (ბრავო და ტაში)

თავსმჯდომარე ეკითხება კრებას: „დარჩეს ეხლანდელი ხარჯთა-აღრიცხვა, ისე როგორც შარშან იყო, თუ რაიმე ცვლილების მოხდენა გსურთო“?

კ. ღორთქიფანიძე. კითხვა ურიგოდ არის დადგენილი. წლევანდელი ხარჯთა აღრიცხვა შარშანდელისაგან გაირჩევა. წლევანდელში ხარჯი მეტია. თუ იმას ამბობთ, ჯამი იგივე დარჩესო ეს სხვა საქმეა. მაგრამ შეცვლით კი რა შეიცვალოს? რომელი მუხლი?

—რა ამბავია ამდენი ლაპარაკი! გვეყო: კენჭი! კენჭი! ხმაურობა რამდენიმე წამს. კირილე ჰყვირის: ასე ნაპოლეონ III იქცეოდა: ბიუჯეტს წარმოადგენდა და ხმა-ამოუღებლად დაამტკიცეთო!

ხმაურობა წყნარდება და თავსმჯდომარე, (რომელიც, სიტყვაზე ვსთქვათ, ვერ არის ღელვის მოყვარულ ჩვენებურ კრებისათვის სათავსმჯდომარეოდ გაჩენილი), პასუხს უგებს კ. ღ-ძეს.—მე ის არ მითქვამს შარშანდელი ხარჯთა აღრიცხვა დარჩეს ან თუ არა-თქო. მე ვამბობდი ზოგადი ჯამის შესახებ.

ბოლოს, როგორც იქნა გადასწყვიტეს, რომ ხარჯთა აღრიცხვის განხილვა თითო მუხლობით დაიწყოთ. პირველი მუხლი შეიცავდა ბანკის გამგეობის ჯამაგირებს, სულ 7,600 მანეთს.

დადგინდა კითხვა: დარჩეს გამგეობის ჯამაგირი ისევ ამდენი, თუ მოაკლდეს?

ის იყო, კენჭის-ყრას ხელს ჰკიდებდნენ და ყუთებიც გამოიტანეს, რომ დარბაზში შემოვიდნენ ფოთიდამ ჩამოსულნი მეგრელები და მოითხოვეს თავიანთი სიებში შეტანა. მათი კანონიერი თხოვნა შეწყნარებული იქმნა და სხდომა $2^3/_4$ საათზე გადიდვა ხვალის 11 საათამდე.

## ახალი ამბები.

ბაზ. „კავკაზში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი იმ უწესობის თაობაზე, რომელიც აღდგომა დღეს მოხდა სოხუმში:

„13 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს (?), სოხუმში მოხდა შეტაკება მეგრელებსა და პოლიციის მოხელეებს შუა. მიზეზი შეტაკებისა იყო ის, რომ პოლიციამ წინადადება მისცა ქუჩაში მოთამაშე მეგრელებს ქალაქს გარეთ გასულიყვნენ და იქ ექეიფნათ, გზა არ შეეკრათ. ამ წინადადებაზე მეგრელებმა გინება და ქვის სროლა დაუწყეს პოლიციის სალდათს; ერთმა მეგრელმა ხელიც ჰკრა იმას. როდესაც ახოდ უნდოდა ამ მეგრელის დაჭერა, ამ დროს მთელი ეს მოქეიფე ხალხი მივარდა სალდათებს და დაუწყო ქვის სროლა. საჭიროთ შეიქნა სალდათების მოყვანა, რომელთაც დაამშვიდობეს უწესოების მომხდენნი. იარაღი არ უხმარიათ. 2 პოლიციელი ქვით არის დაჭრილი და ხუთი სალდათი. მეგრელებში კი არავინ.“

ჩვენი გაზეთის № 88-ში ეს ამბავი აი როგორ იყო აწერილი:

„აღდგომის პირველს დღეს რამდენიმე მეგრელებმა გამართეს ქალაქში სიმღერა და ფერხული. საიდგანაც არ იყვნენ გაჩნდნენ სალდათები და მუქარით დაუშალეს მათთვის მხიარულება. (გლოვა არის, მხიარულება არ შეიძლებაო). მეგრელები ქალაქს გარეთ წასულიყვნენ და იქ გაეგრძელებინათ სიმღერა და ცეკვა. აქ დაუხვდნენ მატროსები და გაუმართეს ჩხუბი. შეიქნა ცემა-ტყეპა... პოლკოვნიკმა არავინმა როტა სალდათი მიაშველა მატროსებს. რამდენიმე კაცი მეგრელთაც ხელმოუხნდათ დამსხვრეულ... ორსავე მხრით ოც-და-ათს კაცზე მეტია მძიმედ ნაცემი და დაჭრილი.“

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა ბათუმიდამ:

„იმ ბატონების გასამტყუნებლათ, რომლებიც თავიანთ ოფიციალურ ქაღალდებით ამტკიცებენ, რომ [illegible] ხალხის გადასახლების მიზეზი [illegible] ფანატიზმი არისო, მოვიყვანთ ერთ დამტკიცებას:

„ქურთები, რომლებიც ჩვენს მაზრაში ყველაზე მომატებულათ შრომის მოყვარულნი არიან და რომლებიც თუმცა მაჰმადს თაყვანსა სცემენ, მაგრამ ისე რწმუნობენ მაჰმადს, როგორც ლიუტერანები რომის პაპს, რომლებსაც თავიანთთვის არც მოლლები ჰყავთ და არც მეჩითები, წელიწადში ორჯერ, ისიც ბაირამებში, მარტო მოხუცებულები თუ ილოცავენ, თორემ იმათთვის ქვეყანაზედ არაფერია სხვა წმინდა, გარდა ოთხფეხი საქონლის მოვლისა,—ეს ხალხიც კი ემზადება ახლა ოსმალოში გადასახლებას; გუშინ ოსმალოს ემმა ოც-და-ხუთამდი სახლობა და ორასამდი ოთხფეხი საქონელი წაიყვანა.

„რომ ვკითხე ამათ წასვლის მიზეზი, მითხრეს პირ-და-პირ რომ „ისინი ვერ გაუძლებენ ამდენ უსამართლობას და ამდენ ახალ-ახალ სხვადასხვაფერ გარდასახადების გარდახდას, რომელიც იმათ ახლავე დაუწყეს თხოვნა!“

* * *

აპრილის 27-ს თფილისის თავად-აზნაურთა ბანკის გირაოს ფურცლები გაყიდულა პეტერბურღის ბირჟაზე: $18^7/_{12}$ და $27^1/_2$ წლისა—92 მან., $43^1/_2$ წლისა—91 მან. 75 კაპ. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა: $18^7/_{12}$ წლისა—91 მან. 25 კაპ. და $43^1/_2$ წლისა—91 მან. 75 კაპ.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ

---

მელიც ქვეყანას აოხრებდა, შინაური უთანხმოება და ერთმანერთთან კირთება და ამასთან სრული დამონება გლეხებისა ბატონებისგან მარტო აზარებდენ და აძულებდენ მუშაობას. ან კი რათ უნდა ემუშავნათ, რათ უნდა ეთოხნათ, თუ მათი ჭირნახული ბატონების ბეღელში და თავლაში შევიდოდენ. ყოველ-გვარი სახის მონება იყო ამ საცოდავ ქვეყანაში. ბატონის კაცს თითონ ყავდა სხვა კაცი, რომელიც ორივეს ეკუთვნოდა: ამ მონების ხელ-ფეხი ორივე ბატონების საკუთრება იყო. 1841 წლამდის თითონ მღვდლები ყმებში ერია. დიდი ხანი არ არის, რაც სამეგრელოდამ ამოიკვეთა ერთი ძველი ჩვეულება: სამეგრელოს მთავარი გაიყოლიებდა კარის-კაცებს, წვეულებს, იახლებდა მოსამსახურეებს, ბაზიერებს, კურზვლებს და კაციან-ძაღლიან-ცხენიან ჩაუდგებოდა თავის ყმა-თავადს და სანამ სულ არ დააქცევდა, არ გამოლევდა მის ოჯახს, ფეხს არ მოიცვლიდა იქიდამ. ახლა სხვა საწყალებისას წავიდოდა, რომ წვევოდა და გაენათლებინა ამ გვარათ მათი სახლ-კარი (*honorer d'autres malheureux de leur présence*). არც ერთ ქალს არ ჰქონდა იმედი, რომ ის შერჩებოდა თავის ოჯახს, თუ ის ლამაზი იყო,—ბატონი, იტაცებდა. ამ მიზეზების გამო სუსტი მეგრელი ხის ფოთლებ ქვეშ აფარებდა თავის ფაცხას. 1857 და 1858 წლებს სამეგრელოში მოხდა ამბოხება განსათავისუფლებლათ დაკაპტებულის ქალებისა და გადასაძრობლათ ხაჯალაურისა, რომელსაც ბატონები ადებდენ ხოლმე ქედზე მათ ყმებს. მაგრამ ეს ამბოხება სისხლში დაშრიტეს. ბატონ-ყმობა გადავარდა აქ რუსეთზე სამი წლით უგვიანესათ, მაგრამ გლეხკაცის რბევა ჯერ კიდევ არ დაკარგულა და მონის შვილი ჯერ კიდევ არ გამხდარა თავისუფალ კაცათ“.

„მეტის-მეტად მდიდარ ნიადაგზე იმერლები და მეგრელები საწყლათ სცხოვრობენ და როგორც ლომბარდელები, რომლებიც ეგრეთვე ფრიად მდიდარ ნიადაგზე სცხოვრებენ, აქაურები სჭამენ სიმინდის ფაფას, პოლანტის მზგავსს (ღომზე ამბობს). იმათი ჩვეულებრივი ტანისამოსი არის პერანგი(?!), ქუდის მაგიერ ხურავთ უბრალო ჩოხის ნაჭერი, რომელიც აყვაურით არის დამაგრებული (ბაშლაყი). მეგრელების სახლი არის უხეირო ფაცხა, ან ჯარგვალი. წელ-მოწყვეტილი და გამხდარი პირუტყვები: თხა, ღორი დამსუნაგობენ ცუდათ შელობილ ყანას, კამეჩი ლაფში ჩაწოლილა“.

სიმიდი ბევრი გააქვთ სამეგრელოდამ, მაგრამ კავკასიის აქეთა მხრის სამოთხე მაინც ისეთი ქვეყანაა, ჯერჯეროობით საცა კაცს შეუძლია დარწმუნდეს, რა ცოტათი არის ბუნების სიმდიდრეზე დამოკიდებული მიწა-წყლის გამოყენება. რამდენი უმადლო ქვარნალი აცხოვრებს კაცს უკეთესად, ვინემ მეგრელებს თავისი მსუქანი გაპოხიერებული მიწა...

აჭარლები მეგრელებისა და ქართველების ტომისანი არიან. მათი ენა არის ქართული; ზოგან ნამდვილი მეგრული ენით ლაპარაკობენ, ზოგან კი შერეულით. ზნეც ისეთი აქვთ, როგორც იმერლებს. იმერლებსავით ესენი დიდ პატივსა სცემენ ჭაღარა თმას და არიან სტუმართ-მოყვარენი. კარგად ჩაცმას და სიმდიდრეს ეტრფიან და სრულიაც არ არიან ზარმაცნი, როგორც საზოგადოთ ამბობენ ამათზე. სამი საუკუნის წინათ ისინი ქრისტიანენი იყვნენ; ეხლა მაჰმადიანნი არიან.

იმერეთში, შესანიშნავ ადგილებთ შორის, უფრო ვრცლათ არის აწერილი შორაპანი და ქუთაისი. შორაპანი ისეთ ტყეში იყო აშენებული რომ ბერძნებმა დიდი გამბედაობა გამოიჩინეს იქ მოსვლით.

ქუთაისი ეგების არ იყოს ოთხიათასი წლის ქალაქი, როგორც ამბობს გადმოცემა, რომელმაც მედეის სამშობლოთ გახადა ეს ქალაქი, მაგრამ მაინც ქუთაისი ძველი ქალაქი არის, რადგანაც პროკოფი იხსენიებს იმას. ქუთაისი რიონის მარჯვენა მხრის ტერრასებზე იყო აშენებული, მაგრამ ცოტ-ცოტათი გადმოვიდა მარცხენა მხარეზე. ყველაზე უფრო შესანიშნავი შენობა ქუთაისისა არის ერთი ტაძრის ნაქცევი ბაგრატოვანთაგან აშენებული, 11 საუკუნის დასაწყისს, აკროპოლის კლდეზე. ეს ტაძარი სომხური არხიტექტორებისგან არის დაწყებული, ბერძნებისგან მოთავებული და მერე ადგილობრივი გემოვნების მიხედვით შეცვლილი. ეხლანდელი ნანგრევი არის უკეთესი წარმომადგენელი საქართველოს ხელოვნებისა. შემდეგში ყველა საეკკლესიო შენობის ნიმუშათ ჰქონდათ საქართველოში ეს ტაძარი.

ტყიბულის ქვა-ნახშირი ჯერ კარგათ ხელ-მოკიდებული არ არის, თუმცა ქუთაისიდამ 30 კილომეტრზე არის და აქვს 12—20 მეტრი სისქე. შორაპნის მაზრაში ბევრი მილლიონი ქვა-გუნდა არის... ონს ახლოს რაჭაში,—უწერის მჟავე წყალი.

მერე არის აწერილი: ხონი—სვანების ბაზარი, ქულაში, ორპირი—სკაპცების ქალაქი, ზუგდიდი, ფოთი, ბათომი, ართვინი, ართანუჯი და სხვ.

ი. მეუნარგია.

დაბეჭდილი ბათუმიდამ მიღებული დეპეშა, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ცეცხლი გაჩნდა და ამ ცეცხლმა ბეჟან-ოღლების ყველა შენობები და ბაღის ახლო სახლის გადასწვაო.

როგორც გვწერენ ახლა ბათუმიდამ, ეს ტელეგრამმა, ტელეგრაფის სტანციის წყალობით, შეცდომით ყოფილა დაბეჭდილი „სასამართლოს“ **(судъ)** მაგიერად ტელეგრამმაში ეწერა „ბაღი“ **(садъ)**! ასე რომ აღმოჩნდა, რომ სასამართლოს შენობა გადამწვარა და არა ბაღის მახლობლად შენობები...

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბორჩალოში კალიის გასაწყვეტად ათას-ხუთასი კაცი ადგილობრივი მცხოვრებლები არის ამ ჟამად გამოწვეულიო; ყარაიაზში კი ამ საქმეზე 1500 სალდათი არის დაყენებულიო.

გვაცნობებენ აგრეთვე, რომ გორის მაზრაში სოფ. ქასპის მახლობლად და რამდენსამე სხვა ალაგებში გამოჩენილა კალია. ხალხი გამოჰყავთო.

თფილისის უეზდის ზოგიერთ ალაგებშიაც გამოჩნდა კალია და ხალხი გაყვანილია სამუშაოდ.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

**კახეთი, 20** აპრილს. გაუძღათ თვალი საწყალ ჩვენებურ გლეხთ ამ მშვენიერის ჯეჯილების ყურებით. ყველა გლეხი ნატრობს, როდის იქნება შევიტანოთ ნამგლები და შემოვძახოთ მუშური სიმღერაო.

მაგრამ საშინლათ ეშინიათ კალიისა, რომელიც გამოჩენილა მღდარზედ და არამღდარაზედ და აგრეთვე სეტყვისა.

ვენახებს, როგორც თვალი უჩანს, ძალიან ნაკლებათ გამოიტანა, როგორც კვირტი, ისე ყურძენი და ეტყობა ძალიან ნაკლებ უნდა მოვიდეს წელს ღვინო. მადლობა ღმერთს, პური მაინც მოვიდეს...

ამ მოსავალში კიდე ცოტაოდენი იღბალი აქვთ გლეხებს მაინც, მაგრამ მამასახლისების ამორჩევაში კი სრულიათ იღბალი არა აქვთ, რამდენი ხანიც გადის იმდენ უარეს აყენებენ.

მარტში იყო ამორჩევა მამასახლისებისა და სუდიებისა; ამ დროს სოფ. ქარდანახში ჩამობრძანდნენ მაზრის უფროსის თანაშემწე თ. ჯანდიერი და მიროვოის პოსრედნიკი. ვიდრე შეუდგებოდნენ ამორჩევას თ. ჯანდიერმა წარმოსთქვა რამდენიმე კარგი და სასარგებლო სიტყვა გლეხებისთვის; ურჩევდა ხალხს როგორი კაცი უნდა ამოერჩიათ; მაგრამ მაინც იმ რჩევაზედ არ გაიარეს და ამოირჩიეს ერთი ტ—შვილი, რომელიც იყო ამორჩეული ამ წინა ამორჩევაზედაც, მაგრამ ღუბერნატორმა არ დაამტკიცა. ან ვის უნდა ამოერჩიათ, მთელი ყრილობა იყო სულ უბრალო და ჯიღლო-მაღლო ხალხიდან, ასე რომ ოცი ქეთხუდა კაცი არ ერევოდა, რადგანაც ამორჩევა დანიშნული იყო ორშაბათ დღეს და მთელი ხალხი იყო წასული გუთანზედ და სამუშაოთ...

კარდანეხელი გლეხი.

# განცხადებანი


### ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა მაისის 1 რიცხვიდამ დაიწყება იმ მაწანწალა ძაღლების ხოცვა ქუჩებში, რომლებსაც რკინის ან ტყავის საყელო არ ექნებათ. ეს ცხადდება ყველა ძაღლის პატრონების გასაფრთხილებლად.** (3—2)

ინგლისის მაღაზიაში

**თმის ამო-მყვანი**



**მაკ-მას-ტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—66)

### გასაქირავებელი სადგომი

სამი და ორი ოთახი ცალ-ცალკე ანუ ერთად, თავის კუხნით და ყველა მოწყობილობით.

გოლოვინის პროსპექტზე, ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ, მირზოევის სახლებში.

მსურველს შეუძლია იქვე იკითხოს. (5—2)

### ქუთაისში მაისის პირველიდამ

გრ. მირიანოვისა და კამპანიისაგან

გაიხსნა ახალი სასტუმრო

## ლივადია

ხაზაროვის კლუბის შენობაში. სასტუმროს ჩინებულად მოწყობილი ნომრები აქვს კორრიდორებით. ნომრების ფასი 75 კაპეიკიდამ 2 მან. 50 კაპეიკამდეა.

იმედი გვაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება სრული კმაყოფილი დარჩება ჩვენი სასტუმროსი. (5—4)

**უნივერსიტეტის სტუდენტს სურს ზაფხულის განმავლობაში აძლიოს გაკვეთილები გიმნაზიის კურსიდამ. თანახმაა სოფელშიაც წავიდეს.**

**მსურველს შეუძლიან „დროების“ რედაქციას მიმართოს.** (5—5)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეგსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—56

**დასყიდვის დროს** ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1,560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 30 მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შოკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქაღალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი. ქაღალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ვინემ სხვაგან. (15—11)

### ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ჩაიხტის და ჩინეთის პირველი მოწყევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, ჟილეტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—58)

თბილისში არსდება გიმნასტიური ამხანაგობა, რომლის მიზანი იქნება მისცეს თავის წევრებს გიმნასტიური, ხრმლისა და თოფის სროლის ვარჯიშობისა ქალაქს გარეთ სეირნობისა და სხვა რიგი დროების გატარების საშუალება, რომელნიც ძალას და ღონეს უმაგრებს ადამიანს.

ამ ამხანაგობის წესდება დამტკიცებულია მთავრობისაგან და დაბეჭდილია გაზეთი „კავკაზის“ მე-90 №-ში.

წლიური შემოსატანი ფული ათი მანეთი, რომელთაც ჰსურთ თბილისის გიმნასტიურ ამხანაგობის წევრად ჩაწერა, შეუძლიანთ შემოიტანონ:

1) ვ. ა. დინგელშტეტთან, თამამშოვის სახლები ბაზრისა და ბარონის ქუჩების კუთხეზედ ყოველ დღეს საღამოს 6 საათიდამ 8 საათამდინ.

2) ჟ. ქ. ქესტერთან, მთავარ სამართველოს დეპარტამენტში ყოველ დღე ნაშუადღევის 11 საათ. 3—მდე.

3) ა. ა. ბრუნსთან მიხაილოვის ქუჩაზედ რუსულ მაღაზიაში.

4) გაზეთი „კავკაზის“ რედაქციაში ბარიატინსკის ქუჩაზედ, ყოველ დღე ნაშუადღევის 10 საათ.—2—მდე. (3—3)

**სწავლა გამოჭრისა და შეკერვისა. ახალი ხელოვნებით დახაზვის შუამავლობით.**

**იქვე მიიღებენ ქალების და ყმაწვილების ტანისამოსის შეკერვას, ზომის აღებას და გამოჭრას; ისყიდება ახალ მოდის სახენი გამოჭრილებისა შეპირებული ზომისა და დააწყობენ პლისეს მაშინაზედ. აგრეთვე ასწავლიან შეუძლებელ-ყმაწვილ ქალთა, რომლის პირობაც შეიძლება შეიტყოთ კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაში № 87.** (10—9)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი გასასყიდლათ პირველი მოკრეფილის და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვავნას იგარები. (100—59)


Дозволено цензурою· Тифлисъ, 5 Маія 1881 г Типографія С· Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.